სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №173
2025 წლის 16 ივლისი

ქ. თბილისი

,,საერთო დანიშნულების ავიაციის ვერტმფრენების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 13 დეკემბრის №270 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**

მუხლი 1

,,საერთო დანიშნულების ავიაციის ვერტმფრენების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 13 დეკემბრის №270 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 15/12/2022 წ., სარეგისტრაციო კოდი: 310050000.54.066.016278) დამტკიცებულ ,,საერთო დანიშნულების ავიაციის ვერტმფრენების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის:

ა) ,,ჰ^{9} “ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{9}) სმმ-ის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო – სახელმწიფოს მიერ დანიშნული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სმმ-ის უზრუნველყოფაზე დადგენილი საჰაერო სივრცის ფარგლებში.“;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ჰ^{24} “, ,,ჰ^{25} “ და ,,ჰ^{26} “ ქვეპუნქტები:

,,ჰ^{24}) ფრენის გეგმა - სხ-ის დაგეგმილ ფრენასთან ან ფრენის ნაწილთან დაკავშირებული სპეციფიკური ინფორმაცია.

შენიშვნა: *ტერმინთან „ფრენის გეგმა“ შეიძლება გამოიყენებოდეს სიტყვები „წინასწარი“, „წარდგენილი“ „მიმდინარე“ ან „სამუშაო“, ფრენის პირობებისა და სხვადასხვა ეტაპების მისათითებლად. როდესაც ამ ტერმინთან ერთად გამოიყენება სიტყვა „შეტყობინება“, ეს გულისხმობს გადაცემული ფრენის გეგმის მონაცემების შინაარსს და ფორმატს.*

ჰ^{25}) ფრენის წარდგენილი გეგმა (FPL ან eFPL) – ფრენის გეგმის ის ბოლო ვერსია, რომელიც პილოტის, ექსპლუატანტის ან დანიშნული წარმომადგენლის მიერ წარდგენილი იყო სმმ-ის პუნქტის მიერ გამოსაყენებლად.

შენიშვნა: *FPL არის წარდგენილ ფრენის გეგმა, რომელის გადაცემა ხორციელდება საერნაოსნო ფიქსირებული მომსახურებით, მაშინ როდესაც eFPL წარმოადგენს ფრენის გეგმას, რომლის ურთიერთგაცვლა ხორციელდება FF-ICE სერვისების მეშვეობით. eFPL იძლევა იმ დამატებითი ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობას, რომელიც არ შედის FPL ფრენის გეგმაში.*

ჰ^{26}) წინასწარი ფრენის გეგმა (PFP) – ფრენის გეგმის წარდგენამდე ექსპლუატანტის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ერთობლივი დაგეგმარებისათვის მიწოდებული ინფორმაცია.“.

2. მე-12 მუხლის ,,შენიშვნა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

შენიშვნა: *1. ფრენის გეგმის შესახებ სახელმძღვანელო მასალა მოცემულია* იკაოს Doc-ში 4444 (PANS-

ATM).

2. *FF-ICE სერვისების გამოყენების სახელმძღვანელო მასალა, წინასწარი ფრენის გეგმის ჩათვლით, მოცემულია იკაოს Doc-ში 9965.*

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 27 ნოემბრიდან.

სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს
დირექტორი **გივი დავითაშვილი**